ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს

სხდომის ოქმი№3

ქ. ბათუმი 28 ოქტომბერი 2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფ. გ. ფარცხალაძე; პროფ. რ. კახიძე; პროფ. ე. ხალვაში; პროფ. ზ. მეგრელიშვილი; პროფ. თ. ქიქავა; ასოც. პროფ. თ. თურმანიძე; ასოც. პროფ. გ. ჩავლეშვილი; ასოც. პროფ. ნ. ჭედია;ასოც. პროფ. ო. ჯანელიძე; ასოც. პროფ. დ. ჩხაიძე;ასოც. პროფ. ე.ნიჟარაძე;ასოც. პროფ. ნ. მამულაიშვილი;ასისტ. პროფ. ქ. ინაშარიძე; ასისტ. პროფ. მ. ჩხარტიშვილი;ასისტ. პროფ. ნ. დონდოლაძე; ასისტ. პროფ. მ. ტუღუში; ასისტ. პროფ. ქ. გოლეთიანი; ასოც. პროფ. ა. მურვანიძე; ასოც. პროფ. ნ. ასანიძე, ასისტ პროფ. ნ. ალასანია; ასისტ პროფ. ნ. ნაკაშიძე; ასისტ პროფ. ნ. ბერიძე; ასისტ პროფ. ლ. გორგილაძე; ასისტ. პროფ. ი.გაფრინდაშვილი; ასოც. პროფ. შ. ლომინაძე;სტუდ. ჯინჭარაძე გ.; სტუდ. რ. ბოლქვაძე; სტუდ. კ. ჩხარტიშვილი.

დღის წესრიგი:

1. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის 2016 წლის 19 დეკემბრიდან დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების შესახებ

*მომხსენებელი: პროფ. გ. ფარცხალაძე.*

**მოისმინეს:**საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა გ. ფარცხალაძემ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2016 წლის 18 დეკემბერს იწურება ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე მუშაობის 4 წლიანი ვადა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა გამოცხადდეს არჩევნები ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად.

**აზრი გამოთქვეს:** თ. ქიქავა, ი. გაფრინდაშვილი

**დაადგინეს:**

3. დამტკიცდეს ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების თანდართული ტექსტი (დანართი 1)
4. ეთხოვოს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დამტკიცებული განცხადების ტექსტის გამოქვეყნება ბსუ-ს ვებგვერდზე, ველში ,,კონკურსები“. ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდესბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

დანართი 1

5. 2016 წლის 28 ოქტომბერს გამოცხადდე სარჩევნები 2016 წლის 19 დეკემბრიდან ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად.
6. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველ პირთა განცხადებების მიღება მოხდეს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, ოთახი N4) **2016 წლის 28 ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით**, უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე.
7. **დეკანის არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 12 დეკემბერს, 10.00-17.00 სთ.**
8. დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

განცხადება ბსუ-ს საარჩევნო კომისიის სახელზე.

განცხადებასთანუნდაერთვოდეს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობისასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) სამოქმედო გეგმა;

დ)ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ე) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

ვ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციულ ან აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) ცნობა ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე დაკავებულიაკადემიური თანამდებობის (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი) შესახებ.

**საბჭოს თავმჯდომარე:** გ. ფარცხლაძე

**საბჭოს მდივანი:** ქ. ინაშარიძე